

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

12 .04. 2016 წელი

1 ეგზ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის
მეურნეობის სამინისტრო

ფინანსური აუდიტის ანგარიში N18/36

2015 წლის 1 იანვარი - 2015 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

შემოკლებანი:	3
ზოგადი ინფორმაცია:	3
დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	4
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობას.....	4
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა	4
პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ	5
მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა	8
სახელმწიფო შესყიდვები	8
პროგრამული ბიუჯეტი.....	12
ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლები.....	13
შრომის ანაზღაურება.....	15
ბიუჯეტის შედგენა -შესრულების მდგომარეობა	16
დებიტორ-კრედიტორული დავალიანებები	17
ანგარიშგების ფორმები.....	Error! Bookmark not defined.

შემოკლებანი

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო-სამინისტრო
2. ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“ - ცენტრი
3. სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი“ - ლაბორატორია

ზოგადი ინფორმაცია

სამინისტროს მმართველობის სფეროს განეკუთვნება: აგროსასურსათო, სასელექციო, ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდის, მცენარეთა მავნებელ-დაავადებებისაგან დაცვის, მეცხოველეობის სანაშენე საქმიანობისა და ვეტერინარიის დარგები. სამინისტროს ამოცანებია: ეროვნულ ტრადიციებსა და საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით რეფორმების განხორციელებისათვის ხელშეწყობა; სოფლის მეურნეობის, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის წარმოების განვითარება; სოფლის მეურნეობის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა; სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სურსათის წარმოება-რეალიზაციაში საერთაშორისო გამოცდილების დანერგვა; სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა, საექსპორტო პოტენციალის სრულად გამოყენება და საგარეო ბაზარზე მყარი პოზიციების მოპოვება და სხვა.

სამინისტროს საბალანსო მონაცემების შესაბამისად, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წმინდა ღირებულება შეადგენს 285,2 ათას ლარს. სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული პირებია: სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი“ და ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“. სამინისტრო არის საბიუჯეტო დაწესებულება და მისი დაფინანსების წყაროა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებულია:

2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
5747,0	5937,4	6735,8

ცხრილი N1. სამინისტროს მიერ მიღებული დაფინანსებები (ათასი ლარი)

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობას

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფინანსური აუდიტი, რომელმაც მოიცვა სამინისტროს 2015 წლის ნაერთი ბალანსის, ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისად ხარჯების, არაფინანსური აქტივების საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ფულადი გრანტების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებებისა და ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშგებები. 2015 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის აუდიტი ასევე მოიცავს ანგარიშს დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და 2008 წლის 16 აპრილის „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, რომ აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ

1. ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ მიერ, არსებული რისკების არასათანადო შეფასებისა და რეაგირების შედეგად, სახელმწიფოზე მიყენებული ზიანი 23569 ლარამდე გაიზარდა. ამასთან, აღნიშნული თანხა არ არის ასახული ცენტრის ბალანსზე.

2012 წლის 16 მაისს გაფორმებული N01-24/89 ხელშეკრულების შესაბამისად, ინდ. მეწარმე „იოსებ ბარამიძემ“ აიღო ვალდებულება ახალსოფლის ტერიტორიაზე მოეხდინა 59412 ძირი ნერგის წარმოება(მცნობა). 2012 წელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები შესრულებულად ჩაითვალა და შესაბამისი

მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე ი/მ „იოსებ ბარამიძეს“ გადაერიცხა 41,7 ათასი ლარი. აქვე აღსანიშნავია, რომ ვაზის საძირე და ვაზის კვირტი შესყიდული იქნა ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ მიერ, რაშიც გადახდილი იქნა სულ 4,4 ათასი ლარი.

ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ დირექტორის 2013 წლის 24 ივნისის N146 ბრძანების საფუძველზე შექმნილი, ვაზის დამყნის და გახარებული ნერგების დამდგენი კომისიის მიერ დადგენილია, რომ 59412 ძირი ვაზის ნერგის ნაცვლად დამყნის იქნა 41600 ძირი, საიდანაც გაიხარა მხოლოდ 1314 ძირმა. ზიანის ანაზღაურების მიზნით, ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრმა“ სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა 18,2 ათასი ლარის გადახდა, თუმცა მხარეებს შორის 2013 წლის 20 დეკემბერს მიღწეული იქნა შეთანხმება, რითაც ი/მ „იოსებ ბარამიძეს“ მიეცა უფლება 2014 წლის გაზაფხულზე გამეორებით განეხორციელებინა 58098 ძირი ვაზის ნერგის წარმოება. ი/მ „იოსებ ბარამიძემ“ აღნიშნული შეთანხმებით აიღო ვალდებულება ახლად წარმოებული ვაზის ნერგის გაუხარებლობის შემთხვევაში, გაუხარებული ნერგების რაოდენობის შესაბამისად, მოეხდინა 2012 წელს ნერგის წარმოებისათვის გახარჯული თანხებისა და ასევე 2014 წელს ცენტრის მიერ მიწოდებული საძირკვებისა და კვირტების ღირებულების ანაზღაურება.

წარმოდგენილი აუდიტორული მტკიცებულებების შესაბამისად, ი/მ „იოსებ ბარამიძემ“ ამჯერადაც ვერ შეასრულა მორიგების პირობები და ნაცვლად 58098 ძირისა, მის მიერ გახარებული იქნა მხოლოდ 4310 ძირი. შესაბამისად ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით მიღებულ ზიანს, 18231 ლარს დაემატა მორიგების აქტის პირობების შეუსრულებლობით მიღებული ზიანი - 5339 ლარი და ქალაქ ბათუმის სასამართლოს 2014 წლის 3 დეკემბრის სააღსრულებლო ფურცლისა და ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ წერილების¹ საფუძველზე, 2015 წლის 11 მაისისათვის ი/მ „იოსებ ბარამიძეს“, მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის დაეკისრა 23569 ლარის გადახდა. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო რესურსის არამიზნობრივ განკარგვასთან დაკავშირებულ რისკებზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახური წინა აუდიტის ანგარიშშიც მიუთითებდა, თუმცა რისკები არასათანადოდ იქნა შეფასებული და შედეგად სახეზეა ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრზე“, ანუ სახელმწიფოზე მიყენებული ზიანის ზრდა. ამასთან აღსანიშნავია, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული

¹ ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ 2015 წლის 7 თებერვლის N01-10/68 და 11 მაისის N01-10/109 წერილები

აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 43-ე მუხლის მე-6 პუნქტის² საწინააღმდეგოდ, ზემოთ აღნიშნული თანხა (მიყენებული ზიანი) 23569 ლარი არ არის აღრიცხული პირობით მოთხოვნებში.

2. ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრში“, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნების შეუსრულებლობის შედეგად, ადგილი აქვს ქონების გადასახადით დასაბეგრი ქონების ღირებულების 1315 ლარით შემცირების ფაქტს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, ორგანიზაციისათვის ქონების გადასახადით დასაბეგრ ობიექტს წარმოადგენს ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული, ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებები, დაუმონტაჟებელი მოწყობილობები, დაუმთავრებელი მშენებლობები და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა, რომლითაც სარგებლობს ან რომელსაც ფლობს იგი. ამასთან, დასაბეგრი ქონების ღირებულება არის საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება. 2014 წლის საბალანსო მონაცემების შესაბამისად, ცენტრს ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული აქვს 46708 ლარის ფაქტიური შემოსავალი, რისთვისაც გამოყენებული აქვს 199144 ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულების ძირითადი აქტივები. ქონების გადასახადის დეკლარაციაში დასაბეგრი ქონების ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებულია არა საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება, არამედ 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნარჩენი ღირებულება, რითაც ქონების გადასახადით დასაბეგრი თანხა საერთო ჯამში შემცირებულია 1315 ლარით. შესაბამისად შეუსრულებელია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები.

3. სსიპ „ლაბორატორიულ კვლევით ცენტრში“ ჩამოწერილი 903 ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულების ძირითადი აქტივები, კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევით, ამავე ღირებულებითა და დასახელებით აყვანილია მარაგებში.

სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის“ დირექტორის 2015 წლის 23 დეკემბრის N01-02/104 ბრძანების შესაბამისად შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის დასკვნით, ჩამოწერას დაექვემდებარა 903 ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულების 51 დასახელების ძირითადი აქტივი.

² პირობითი მოთხოვნები (05)- აღრიცხება ისეთი მოთხოვნები, რომლებიც ძალაში შედის მხოლოდ შეთანხმებული პირობის ან პირობების წარმოქმნისას, უფლებების დადგენით, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომავალ გადაწყვეტილებებზე, მათ შორის მოთხოვნები მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

საინვენტარიზაციო კომისიის მიერ არ იქნა შეფასებული ძირითადი აქტივების ჩამოწერის შედეგად მიღებული ქონება (ჯართი, სამშენებლო მასალა, ვარგისი ნაწილები და სხვა) და ჩამოწერილი ძირითადი აქტივები, ნარჩენი საბალანსო ღირებულებით და იმავე შემადგენლობით გადატანილია მატერიალურ მარაგებში, რითაც შეუსრულებელია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის N82 დადგენილებით დამტკიცებული „საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები.

მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

• სახელმწიფო შესყიდვები

➤ „მაღალპროდუქტიული მერძევე მიმართულების პირუტყვით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის შესრულების მდგომარეობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2015 წლის - „მეცხოველეობის დარგის განვითარების ხელშეწყობა“- პროგრამის „მაღალპროდუქტიული მერძევე მიმართულების პირუტყვით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა“- ქვეპროგრამის ბიუჯეტი 478,5 ათასი ლარით განისაზღვრა და ითვალისწინებდა 87 სული მსხვილი რქოსანი პირუტყვის შესყიდვას. შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განმარტებით, პროგრამის ბიუჯეტის განსაზღვრას საფუძვლად დაედო ბაზრის კვლევა, თუმცა აუდიტის პერიოდში აღნიშნული კვლევის ამსახველი მასალები ვერ იქნა წარმოდგენილი.

პროგრამის განხორციელების მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერები³, სატენდერო წინადადებების წარმოდგენლობის გამო არ შედგა.

³ SPA 150011189, SPA 150014532

სამინისტროს მხრიდან აღნიშნულის მიზეზად ეროვნული ვალუტის გაუფასურება დასახელდა და შესაბამისად, პროგრამაში 2015 წლის 29 ივნისს განხორციელებული ცვლილებებით, პროგრამის ბიუჯეტი გაიზარდა 23925 ლარით და 502429 ლარი შეადგინა.

პროგრამაში განხორციელებული ზემოთ აღნიშნული ცვლილების მიუხედავად, 87 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერები⁴ კვლავ არ შედგა. საქართველოში მეცხოველეობის სანაშენე მეურნეობების არარსებობისა და ლარის კურსის შემდგომი გაუფასურების მოტივით, 2015 წლის 25 სექტემბერს განხორციელებული ცვლილებებით პროგრამის ბიუჯეტი არ შეცვლილა, ხოლო მისაწოდებელი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა 87 სულიდან 75 სულამდე შემცირდა. აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, ერთეულის ღირებულება 5500 ლარიდან 6699 ლარამდე, ანუ 1199 ლარით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ახალი პარამეტრების განსაზღვრა, ბაზრის ახალი კვლევისა და ლარის შესაბამისი პერიოდის კურსის გათვალისწინებით განხორციელდა, რითაც პროგრამით გათვალისწინებული საქონლის ღირებულება, პირვანდელ ღირებულებასთან მიმართებით 21,8 პროცენტით გაიზარდა.

სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში ჩატარების მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 25 სექტემბრის N182 განკარგულებით, სამინისტროს მიეცა უფლება 75 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის შესყიდვა განხორციელებინა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით. 2015 წლის 28 სექტემბერს გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა შპს „თ.ე.მ.-მა“ და ტენდერის შედეგების გათვალისწინებით მასთან 2015 წლის 15 ოქტომბერს გაფორმდა ხელშეკრულება „ჯერსის“ ჯიშის, 75 ერთეული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მიწოდების შესახებ. ხელშეკრულების ღირებულება 499913 ლარით განისაზღვრა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის 2015 წლის 19 თებერვლის N19 ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ, განსაზღვრული იქნა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის შემენის მსურველ ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმები. კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მქონე იურიდიულ პირებს სხვა კრიტერიუმებთან ერთად მოეთხოვებოდათ:

- მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოვლა-შენახვისათვის შესაფერისი სადგომის ბალანსზე აღრიცხვა;

- არანაკლებ 10 სული მეწველი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საკუთრებაში ყოლა;

⁴ SPA 150018427, SPA 150021664

- საკუთრებაში ან/და იჯარით აღებული შესაბამისი საკვებწარმოების ბაზა (სასოფლო-სამეურნეო სავარგული, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და სხვ.).

ბენეფიციართა შერჩევის მიზნით, სამინისტროს მიერ გაკეთდა დათვალიერების აქტები, თუმცა აღნიშნული ქონების ფლობის ან საკუთრების დამადასტურებელი აუდიტორული მტკიცებულებები ვერ იქნა წარმოდგენილი.

➤ ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ დაკვეთით, სოფელ გვარაში, მარნის (ღვინის სახლი) სამშენებლო სამუშაოების წარმოების მდგომარეობა

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარაში, მარნის (ღვინის სახლი) სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვების მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (SPA 150001513) საფუძველზე, 2015 წლის 11 მარტს, შპს „ელ-ჯორჯიას“ და ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება 512000 ლარის ღირებულებით, რომელიც ითვალისწინებდა ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვის ვადაში, საპროექტო-სახარჯათაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად, სოფელ გვარაში, მარნის სამშენებლო სამუშაოების მიწოდებას.

აღსანიშნავია, რომ მშენებლობის საპროექტო-სახარჯათაღრიცხვო დოკუმენტაცია შესყიდულია შპს „სტუდია 4“-სგან, 2014 წლის 28 ოქტომბერს გაფორმებული N03-10/263 ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე საპროექტო-სახარჯათაღრიცხვო დოკუმენტაციის საექსპერტო დასკვნის წარმოდგენას ითვალისწინებდა.

სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას გამოვლენილი შეუსაბამოების აღმოფხვრის მიზნით, საპროექტო-სახარჯათაღრიცხვო დოკუმენტაციაში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელთა შესაბამისადაც, გაუთვალისწინებელი სამუშაოების ხარჯზე, დამატებით შესრულებული იქნა 4744 ლარის საერთო ღირებულების 137 კუბ.მ ღორღისა და 31 კუბ.მ ბეტონის ფილების მოწყობითი სამუშაოები, ასევე კედლების წყობისათვის გათვალისწინებული აგურის არასაკმარისი რაოდენობით განსაზღვრისათვის, შესასრულებელ სამშენებლო სამუშაოებიდან ამოღებული იქნა, იატაკზე მინაგიდროიზოლაციისა და ცემენტის მოჭიმვის მოწყობის სამუშაოები, ხოლო ქართული აგურით კედლების მოწყობითი სამუშაოები შეცვლილი იქნა, ქართული აგურით კედლების მოსაპირკეთებელი სამუშაოებით, რისთვისაც დამატებით გათვალისწინებულია 65044 ცალი აგური. საერთო ჯამში, საპროექტო-სახარჯათაღრიცხვო დოკუმენტაციაში არსებული შეუსაბამოების გასწორების მიზნით განხორციელებული ცვლილებებით⁵, გაუარესდა შენობის ტექნიკური პარამეტრები.

⁵ განხორციელდა 95880 ლარის ღირებულების ცვლილებები

ამასთან, შეუსაბამოების აღმოფხვრის მოთხოვნაზე⁶ პასუხი მიღებულია დაგვიანებით, 29 დღის შემდეგ, თუმცა ხელშეკრულებაში მიწოდებული მომსახურების ხარისხის ვადების დაცვაზე პასუხისმგებლობის შესაბამისი ფორმების არარსებობის გამო, პირგასამტეხლოს დარიცხვა ვერ განხორციელდა.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების შესახებ ცენტრში წარდგენილი ანგარიშების (ფორმა N2) შესაბამისად, შპს „ელ-ჯორჯიას“ შესრულებული აქვს 496179 ლარის ღირებულების სამუშაოები, ხოლო სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში“ წარდგენილი ანგარიშების შესაბამისად კი შესრულებულად ნაჩვენებია 511647 ლარის ღირებულების სამუშაოები. ჩატარებული ექსპერტიზის შედეგად, შპს „ელ-ჯორჯის“ მიერ სოფელ გვარაში, მარნის(ღვინის სახლის) მშენებლობა-რეაბილიტაციისთვის ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება 495741 ლარად შეფასდა, რაც 15906 ლარით ნაკლებია სამუშაოთა შემსრულებლის მიერ ექსპერტიზისთვის წარდგენილი ანგარიშების (ფორმა N2) ღირებულებაზე და 438 ლარით ნაკლებია იმავე შემსრულებლის მიერ დამკვეთთან წარდგენილ შესრულებულ სამუშაოთა ღირებულებაზე.

წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის ანალიზით დადგენილია, რომ არასრულად არის შესრულებული საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული 45 დასახელების 15906 ლარის ღირებულების სამუშაოები, რომელთაგან 10 დასახელების, 488 ლარის ღირებულების სამუშაოები საერთოდ არ შესრულებულა. ცენტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, შეუსრულებელი სამუშაოები არაარსებითად შეფასდა და მხარეებს შორის 2015 წლის 25 დეკემბერს გაფორმებული შეთანხმებით სახელშეკრულებო ღირებულება 495741 ლარით, ანუ საექსპერტო დასკვნით შეფასებულ, შესრულებულ სამუშაოთა ღირებულებით განისაზღვრა. აღსანიშნავია, რომ შეუსრულებელ სამუშაოთა არაარსებითობასთან დაკავშირებით, აუდიტის პერიოდში სათანადო განმარტებები ვერ იქნა წარმოდგენილი და ამასთან არ იქნა გამოყენებული ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილება, წუნდების აღმოფხვრის მოთხოვნისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო ღონისძიებების გატარების შესახებ.

⁶ ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ 2015 წლის 20 ივლისის N 01-10/167 წერილი.

● პროგრამული ბიუჯეტი

● შედგენა-შესრულების მდგომარეობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატის 2015 წლის პროგრამების საბიუჯეტო ასიგნება 4847,7 ათასი ლარით განისაზღვრა. საანგარიშო პერიოდში პროგრამების საბიუჯეტო გეგმა შესრულებულია 98,9 პროცენტით, ანუ გეგმის შესრულებას დააკლდა 51,2 ათასი ლარი. კერძოდ:

N	დასახელება	დაზუსტებული ბიუჯეტი	საკასი ხარჯი	სხვაობა	შესრულების პროცენტი
1	აგროსასურსათო სექტორის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა	1688,8	1665,8	23,0	98,6%
2	სამეცნიერო საშუალებებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა	1523,0	1523,0	0	100%
3	მემცენარეობის დაცვის განვითარების ხელშეწყობა	884,0	858,3	25,7	97,1%
4	მეცხოველეობის დაცვის განვითარების ხელშეწყობა	751,9	749,4	2,5	99,7%
ჯამი		4847,7	4796,5	51,2	98,9

სამინისტროს 2015 წლის ასიგნებები წარმოდგენილია პროგრამული ბიუჯეტის ფორმით. ძირითადად დაცულია პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიით განსაზღვრული პირობები, თუმცა ჩატარებული აუდიტით დადგენილია რიგი ნაკლოვანებების ფაქტები. კერძოდ:

➤ რიგ შემთხვევებში არ არის გამიჯნული პროგრამების განხორციელების საშუალებები და პროგრამის შედეგების შეფასების ინდიკატორები. მაგალითად: მაღალპროდუქტიული მერძევი მიმართულების პირუტყვით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იქნა 75 სული მაღალპროდუქტიული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე გადაცემა და იგივე ქმედება განიხილება ასევე როგორც ქვეპროგრამის შედეგების შეფასების ინდიკატორი.

➤ რიგ შემთხვევებში არასწორად არის მითითებული ქვეპროგრამის შედეგების გაზომვისათვის საჭირო ინფორმაციის მოგროვების მეთოდები. მაგალითად: მრავალფუნქციური მოტობლოკებითა და ურიკებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობისა და მობილური შემასხურებელი აპარატებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობის ქვეპროგრამების შედეგების ინდიკატორად მოცემულია შესაბამისად, 617 ჰექტარი დამუშავებული სასოფლო-სამეურნეო სავარგული და 215 ჰექტარზე აგროვადების დაცვით მავნებელ-დაავადების წინააღმდეგ გატარებული ბრძოლის ეფექტური ღონისძიებები, თუმცა შედეგების შეფასებისათვის საჭირო ინფორმაციის მოგროვების მეთოდად, ორივე

შემთხვევაში, ფერმერებთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტები და გადახდის ქვითრებია მითითებული, რაც ვერ უზრუნველყოფს ქვეპროგრამების შედეგების შეფასებისათვის საჭირო ინფორმაციის მიღებას.

➤ 2015 წლის რიგი პროგრამები დაბალი შედეგიანობით ხასიათდება. ამასთან, შედეგების ანგარიშების ანალიზით დადგენილია, რომ რიგ შემთხვევებში, შედეგების ფაქტობრივი მონაცემები დაუდასტურებელი მონაცემების საფუძველზე კეთდება. მაგალითად: სასათბურე კონსტრუქციებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იყო 12500 კვ.მ სასათბურე მეურნეობების მოწყობა, თუმცა წარმოდგენილი ანგარიშის შესაბამისად, 2015 წელს მოწყობილია 8000 კვ.მ სასათბურე მეურნეობები, ასევე რძისა და რძის პროდუქტების გადამამუშავებელი აპარატებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იყო 2000 ტონა რძის გადამამუშავება და 90 ტონა კარაქის წარმოება, თუმცა წარმოდგენილი ანგარიშის შესაბამისად, 2015 წელს გადამამუშავებულია 1300 ტონა რძე და წარმოებულია 40 ტონა კარაქი. ასევე ფერმერულ მეურნეობებში, სასათბურე ტექნოლოგიების დანერგვის გზით, მარწყვის კულტურის წარმოების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, დაგეგმილი იყო 800 კვ.მ სასათბურე მეურნეობაში 6 ტონა მარწყვის მიღება, თუმცა ქვეპროგრამის ანგარიშის შესაბამისად, 2015 წელს აღნიშნულ სათბურებში მარწყვის მოსავალი არ არის მიღებული. ამასთან აღსანიშნავია, რომ აუდიტის პერიოდში ვერ იქნა მოპოვებული სამინისტროს მიერ პროგრამის შედეგების შეფასების განმსაზღვრელი აუდიტორული მტკიცებულებები.

• ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლები

• ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“

➤ საბუღალტრო მონაცემების შესაბამისად, ცენტრს 2015 წელს განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული აქვს 91454 ლარი. კერძოდ:

დასახელება	შემოსავლები (ლარი)
საქონლის რეალიზაცია	49474
საიჯარო შემოსავალი	8180
გაწეული მომსახურება	2300
ხელოვნური განაყოფიერება	31500
ჯამი	91454

წარმოდგენილი აუდიტორული მტკიცებულებების შესაბამისად, აუდიტის პერიოდში რეალიზებულია საკუთარი წარმოების 32 დასახელების პროდუქცია. პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებული მონაცემების ანალიზით დგინდება, რომ რიგი კულტურები დაბალი მოსავლიანობით გამოიჩევა. ასე მაგალითად: სოფელ გვარაში არსებულ სათბურებში მოყვანილი პომიდორის მოსავლიანობის საშუალო მაჩვენებელი 30 პროცენტული პუნქტით, ხოლო მარწყვის მოსავლიანობა 82,5 პროცენტული პუნქტით ჩამორჩება, შესაბამისი ჯიშისათვის დამახასიათებელ მოსავლიანობას. აუდიტის პერიოდში შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განმარტებით, მოსავლიანობაზე დიდად მოქმედებს რეგიონისათვის დამახასიათებელი კლიმატური პირობები და შესაბამისი კლიმატკონტროლით აღჭურვილი სათბურების არარსებობის პირობებში, პრაქტიკულად შეუძლებელია შესაბამისი ჯიშისათვის დამახასიათებელ მოსავლის მიღება.

აღნიშნულთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ფერმერულ მეურნეობებში სასათბურე ტექნოლოგიების დანერგვის გზით, მარწყვის კულტურის წარმოების განვითარების ხელშეწყობის შესახებ, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამის ფარგლებში, 800 კვ.მ სასათბურე მეურნეობაში დაგეგმილია 6 ტონა მარწყვის მიღება. ამასთან, აღნიშნული სათბურები არ არიან აღჭურვილი კლიმატკონტროლის შესაბამისი სისტემით, რის გათვალისწინებითაც ზემოთ აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული გაანგარიშებები არარეალისტურად უნდა შეფასდეს.

• სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი“

სსიპ „ლაბორატორიულ კვლევით ცენტრში“ 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნების საკასო ხარჯი 338186 ლარს შეადგენს. ამასთან, ცენტრი ფასიან მომსახურებას (ლაბორატორიული კვლევები) უწევს სხვადასხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, მონაწილეობს სახელმწიფო შესყიდვებში, როგორც მიმწოდებელი და მისი საქმიანობა მოგებაზეა ორიენტირებული. ეკონომიკური საქმიანობიდან 2015 წელს მიღებული შემოსავალი 550918 ლარს შეადგენს, რაც ამავე პერიოდში გამოყენებული საბიუჯეტო სახსრების 163,0% შეადგენს. ამასთან, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სსიპ „ლაბორატორიულ კვლევით ცენტრს“ სპეც.სახსრების ანგარიშზე ნაშთად ერიცხებოდა 108910 ლარი.

აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი“ არსებითად ეწევა სამეწარმეო საქმიანობას.

ასეთ შემთხვევაში „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შესაბამისი სახელმწიფო მმართველობის ორგანო ვალდებულია განიხილოს ამ პირის რეორგანიზაციის საკითხი.

სსიპ „ლაბორატორიულ კვლევით ცენტრში“ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების სახით მიღებულია 550918 ლარი (ნაშთი 01.01.2015 - 115140 ლარი), 2015 წელს აღნიშნული შემოსავლების საკასო ხარჯი 391605 ლარს შეადგენს და შესაბამისად, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული თანხებიდან გაუხარჯავი თანხის სახით, საბანკო ანგარიშზე ირიცხება 108910 ლარი.

• შრომის ანაზღაურება

2015 წლის თავდაპირველი ბიუჯეტის კანონით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატის „შრომის ანაზღაურების“ მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ოდენობამ 1421000 ლარი შეადგინა, თუმცა კანონში განხორციელებული ცვლილების შედეგად 9173 ლარით შემცირდა და 1411827 ლარის დონეზე დაფიქსირდა. 2015 წლის განმავლობაში შტატით გათვალისწინებულ საჯარო მოხელეთა შრომის ანაზღაურებაზე მიმართული იქნა 1411827 ლარი, რაც სამინისტროს აპარატის ასიგნების 84,8%-ს შეადგენს. 2014 წელთან მიმართებაში „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ხარჯების მოცულობა წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

შრომის ანაზღაურება	2014 წ.	2015 წ.	სხვაობა 2015/2014
შრომის ანაზღაურება	1036041	1411827	375786
ხელფასები ფულადი ფორმით - თანამდებობრივი სარგო	602930	806581	203651
ხელფასები ფულადი ფორმით - პრემია	433111	183530	-249581
ხელფასები ფულადი ფორმით - დანამატი	0	421716	421716

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2014 წელთან შედარებით, ჯამურად „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გახარჯული სახსრების მოცულობა 375786 ლარით არის გაზრდილი. აღნიშნული ძირითადად განპირობებულია 19 საშტატო ერთეულის დამატებით და შესაბამისად 203651 ლარით თანამდებობრივი სარგოს ზრდით. 2015 წელს, 2014 წელთან შედარებით, პრემიის მუხლი 249581 ლარით, ანუ 57,6 პროცენტით

შემცირდა, თუმცა 2014 წლისგან განსხვავებით (2014 წელს დანამატის სახით სამინისტროს თანამშრომლებზე თანხები არ არის გაცემული), 2015 წელს დანამატის სახით გაცემულია 421716 ლარი.

ამრიგად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 1 აგვისტოს N27 დადგენილების ამოქმედებამ შეზღუდა საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულ პირებზე პრემიის სახით გაცემული თანხების ოდენობა, თუმცა ამავე დროს, აღნიშნული რეგულაციის ძალაში შესვლის შემდეგ, მკვეთრად გაიზარდა „დანამატის“ მუხლით გაცემული საბიუჯეტო სახსრების მოცულობა. შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ადგილი ჰქონდა პრემიის დანამატით ჩანაცვლებას.

აღსანიშნავია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 1 აგვისტოს N27 დადგენილების მიხედვით⁷, „პრემია გაიცემა საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირების მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების (საჯარო დაწესებულებაში სამუშაოს შეფასების სისტემის არსებობის შემთხვევაში) ან/და დასაბუთების საფუძველზე“. დადგენილების მიხედვით, დასაბუთებაში უნდა მიეთითოს „გასაცემი პრემიის ოდენობა, მისი პროცენტული მიმართება პირის თანამდებობრივ სარგოსთან და ინფორმაცია მიმდინარე წლის განმავლობაში აღნიშნულ პირზე გაცემული პრემიის შესახებ“. აღნიშნული რეგულაციით განსაზღვრული პრემიის გაცემის დასაბუთებაში სამინისტროს მიერ მითითებული მონაცემები ნაკლებად ინფორმაციულია და არ იძლევა საშუალებას დადგინდეს, თუ რა კონკრეტული გარემოებების⁸ გათვალისწინებით იქნა მიღებული დასაქმებული პირის წახალისების გადაწყვეტილება. ამასთან, სამინისტროში დანამატის გაცემა ხდება შესაბამისი დასაბუთების გარეშე, ან მხოლოდ კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი მუხლის მითითებით.

• ბიუჯეტის შედგენა -შესრულების მდგომარეობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2015 წლის საბიუჯეტო ასიგნება 4847677 ლარით განისაზღვრა. ამავე პერიოდში საკასო შესრულებამ 4794399 ლარი შეადგინა, გეგმა შესრულებულია 98,9 პროცენტით, ანუ გეგმის შესრულებას დააკლდა 53278 ლარი.

⁷ მუხლი 3, პუნქტი 1.

⁸ პრემია - საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირზე გაცემული შრომითი გასამრჯელო, რომელიც გაიცემა მის მიმართ დაკისრებული უფლებამოსილებების ზედმიწევნით და სანიმუშოდ შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, ან/და განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის.

